

ნარკოპოლიტიკა საქართველოში ნარკოდამოკიდებულების

თვალთახედვით

ნონა ბორცვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა - სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ნარკოპოლიტიკის განსაზღვრაზე ნარკოდამოკიდებულთა თვალთახედვის გათვალისწინებით. ეს მიდგომა იძლევა ნარკოტიკების მოხმარების კანონის ჰუმანიზაციის საშუალებას.

საკითხის შესწავლა ეფუძნება თანამონაწილეობრივ კვლევის მეთოდებს. საკვლევი თემა ეხება ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებელთა აზრის შესწავლას საქართველოს ნარკოდამოკიდებულებასთან დაკავშირებით. კვლევაში მონაწილეობდნენ ნარკომანიის პრევენციის და ფსიქიკური ჯანმრთელობის ს/კ ინსტიტუტის ფსიქო-სოციალური ცენტრის პაციენტები. გამოკითხული ბენეფიციარების რაოდენობაა ოცი, მათი ასაკი იყო 18 წლის ზემოთ, როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის. გამოკითხულთა უმრავლესობას ქონდა უმაღლესი განათლება.

კვლევის მიგნებები შესაძლოა გამოყენებული იქნეს საქართველოში არსებული ნარკო კანონმდებლობის ლიბერალიზაციისათვის.